(სსიპ) იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების წესი

განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი N 14 16/03/2018
განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი N 28 30/11/2023

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი / მალვა ჭკადუა /

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე: ოქმი N 6 19/03/2018

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე: ოქმი N 21 01/12/2023

წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე: / მანანა ღარიბაშვილი /

თელავი
2018

ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ფინანსური მართვა და კონტროლი მოიცავს სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „თესაუ") საქმიანობასთან დაკავშირებულ, როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ პროცესებს, ოპერაციებსა და ქმედებებს, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიზნების მიღწევას არსებული ბიუჯეტისა და დროის ფარგლებში, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის პრინციპების დაცვით.

2. თესაუ-ს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების წესი (შემდგომში - „წესი") მოიცავს:

- ფინანსურ კონტროლს;
- მენეჯერულ კონტროლს;
- ფინანსურ მართვას.

3. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ წესი შემუშავებულია „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 09 აგვისტოს #391 დადგენილების „საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჩამონათვალის და მათში შიდა აუდიტის სისტემის დანერგვისა და განვითარების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 მარტის №133 დადგენილების ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" შესაბამისად და განსაზღვრავს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის წესსა და პროცედურებს.

4. წესის რეგულირების სფეროს წარმოადგენს თესაუ-ს მიზნების მისაღწევად საჭირო ყველა შიდა კონტროლის ღონისძიება, მათ შორის, მიზნების განსაზღვრა, ბიუჯეტის შემუშავება და შესრულება, შეთანხმებები უფლებამოსილებები დელეგირების შესახებ, მენეჯერული ანგარიშვალდებულების განსაზღვრა, შიდა და გარე ანგარიშგება და მონიტორინგი.

მუხლი 2. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის მიზანი

1. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის მიზანია თესაუ-ს ფინანსების მართვის ხარისხის და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესება, დაწესებულების მიზნების და ამოცანების შესრულება.

2. ფინანსური მართვა და კონტროლი ხორციელდება თესაუ-ს ხელმძღვანელების მიერ ყველა სტრუქტურულ ერთეულში და თესაუ-ს დაქვემდებარებულ ყველა ერთეულში.

3. ფინანსური მართვა და კონტროლი მოიცავს თესაუ-ს საქმიანობასთან დაკავშირებულ როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ პროცესებს, ოპერაციებსა და ქმედებებს.

მუხლი 3.ფინანსური მართვისა და კონტროლის კომპონენტები

1. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა გულისხმობს არა მხოლოდ ფინანსურ კონტროლს, არამედ იგი მოიცავს კონტროლის ყველა ასპექტს, რომელიც აუცილებელია თესაუ-ს ხელმძღვანელობის მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად. მიზნები მიიღწევა დროისა და ბიუჯეტის ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებით მოქმედი სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად.

2. ფინანსური მართვისა და კონტროლი ხორციელდება შემდეგი კომპონენტების საშუალებით:

   ა) კონტროლის გარემო;

   ბ) რისკის მართვა;

   გ) კონტროლის ღონისძიებები;

   დ) ინფორმაცია და კომუნიკაცია;

   ე) მონიტორინგი და შეფასება.

მუხლი 4. კონტროლის გარემო

კონტროლის გარემო მოიცავს:

ა) ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა პირად და პროფესიულ პატიოსნებას და ეთიკურ ღირებულებებს;

ბ) მართვის პროცესებსა და მეთოდებს;

გ) დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრას;

დ) ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელიც მოიცავს პასუხისმგებლობებისა და უფლებამოსილებების განაწილებას, ასევე ანგარიშვალდებულების სისტემას, უფლებამოსილებათა დელეგირების ხარისხს და სტრუქტურული ერთეულების საფეხურებად იერარქიულობას;

ე) ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასა და პრაქტიკას;

ვ) დაწესებულების თანამშრომელთა კომპეტენტურობას.

მუხლი 5. რისკის მართვა

მოიცავს შესაძლო მოვლენებისა და სიტუაციების განსაზღვრის, შეფასების, კონტროლისა და მონიტორინგის პროცესებს, რომლებიც გავლენას ახდენს თესაუ-ს სტრუქტურული ერთეულების მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებაზე და აგრეთვე რისკის შესამცირებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებას.

მუხლი 6. კონტროლის ღონისძიებები

1. კონტროლის ღონისძიებები ყალიბდება თესაუ-ში რისკის ოპტიმალურ დონემდე შესამცირებლად და მოიცავს ფინანსურ კონტროლს და იმ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების მიზნების მიღწევას, ასევე იმ დავალებებს, რომლებიც განსაზღვრულია თესაუ-ს ხელმძღვანელობის მიერ.

2. კონტროლის ღონისძიებები მოიცავს:

ა) უფლებამოსილების მინიჭების პროცედურებს;

ბ) მოვალეობების იმგვარ განაწილებას, რომ ერთი და იგივე პირი არ იყოს პასუხისმგებელი უფლებამოსილების მინიჭებაზე, ქმედების განხორციელებასა და კონტროლზე ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით;

(ცვლილება დამტკიცებულია წარმოადგენლობითი საბჭოს სხდომაზე: ოქმი N21 01/12/2023)

გ) ხელმოწერის ორმაგი სისტემის დამკვიდრებას, რაც შეუძლებელს გახდის ვალდებულების აღებას და გადახდის განხორციელებას თესაუ-ს ხელმძღვანელისა და მისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ ერთდროულად ხელმოწერის გარეშე;

დ) აქტივებისა და ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წესებს;

ე) წინასწარი და შემდგომი კონტროლის განხორციელებას;

ვ) დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა ოპერაციის სრულად, ზუსტად, დროულად და რეგულარულად ასახვის პროცედურების დამკვიდრებას;

ზ) თესაუ-ს მიერ განხორციელებული ოპერაციის ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის, პროცესებისა და ქმედებების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასებას;

თ) ზედამხედველობას;

ი) ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვის პროცედურების დამკვიდრებას;

კ) თესაუ-ს მიერ განხორციელებული ყველა ოპერაციის დოკუმენტირებას და სხვა.

მუხლი 7. ინფორმაცია და კომუნიკაცია

თესაუ-ს ადმინისტრაცია ნერგავს და განავითარებს მენეჯმენტის სხვადასხვა დონეებზე საჭირო და სანდო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ძირითადი რგოლის მენეჯერები უნდა აწვდიდნენ ინფორმაციას უფრო მაღალ დონეებზე მყოფთ იმ ფაქტორების შესახებ, რომლებმაც შესაძლებელია გავლენა იქონიონ მათ მიერ მიზნების მიღწევაზე. ეს ნიშნავს, რომ უნდა არსებობდეს ეფექტური კომუნიკაცია, როგორც ზევიდან ქვევით, ასევე ქვევიდან ზევით მენეჯერულ ჯაჭვში; უმნიშვნელოვანესია ინფორმაციის მიმოსვლის გამჭვირვალობა;

მუხლი 8. მონიტორინგი და შეფასება

უზრუნველყოფს მთლიანად მმართველობითი კონტროლის ღონისძიებების ეფექტურობასა და ეფექტიანობას. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება მუდმივი მონიტორინგისა და თვითშეფასების მეშვეობით შიდა აუდიტთან ერთად.

მუხლი 9. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის ეტაპები

თესაუ-ში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვა ხორციელდება შემდეგ სამ ეტაპად:

ა) ფინანსური კონტროლი

ბ) მენეჯერული კონტროლი;

გ) ფინანსური მართვა.

მუხლი 10. ფინანსური კონტროლი

1. ფინანსური კონტროლი გულისხმობს არსებული ფინანსური კონტროლის მექანიზმების, მათ შორის, ფინანსური რეგულაციების გაუმჯობესებას და მენეჯერული ანგარიშვალდებულების დანერგვას.

2. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის პირველი ეტაპის მიზანია, უფლებამოსილების დელეგირების გზით მოხდეს შესაბამისი მენეჯერების ანგარიშვალდებულებების ზრდა და დაწესებულების სახსრების მართვისა და კონტროლის საკითხებში ჩართულობა.

მუხლი 11. მენეჯერული ანგარიშვალდებულება

1. ფინანსური მართვისა და კონტროლის გამართულად ფუნქციონირებისათვის თესაუ-ში არსებობს მენეჯერული ანგარიშვალდებულების სისტემა, რაც გულისხმობს უნივერსიტეტის მართვის ყველა რგოლის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობას მიზნების მიღწევაზე დროულად, არსებული ბიუჯეტის ფარგლებში, მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების დაცვით.

2. მენეჯერული ანგარიშვალდებულება მოიცავს პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას უფლებამოსილებებისა და კონტროლის მექანიზმების დელეგირების გზით. პასუხისმგებელი პირი ანგარიშვალდებულია ზემდგომი ხელმძღვანელის წინაშე დაკისრებული მოვალეობებისა და უფლებამოსილების ფარგლებში.

(ცვლილება დამტკიცებულია წარმოადგენლობითი საბჭოს სხდომაზე: ოქმი N21 01/12/2023)

3. თესაუ-ში მართვის თითოეულ დონეზე განსაზღვრულია ზემდგომი ხელმძღვანელის წინაშე ანგარიშის წარდგენა (საჭიროების შემთხვევაში), რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ყოველკვარტალური ანგარიშგება შემოსულობებისა და გადასახდელების შესახებ, სადაც ასახული იქნება ანგარიშგების პერიოდისთვის წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პარამეტრებთან მიმართება და გადახრის შემთხვევაში განმარტებული იქნება უზუსტობის მიზეზები და მათი მოსალოდნელი გავლენა დაგეგმილი მიზნების მიღწევაზე, ასევე მათი აღმოფხვრის გზები.

4. მენეჯერული ანგარიშვალდებულების დელეგირების სქემა, პასუხისმგებელი პირებითა და შესაბამისი ფუნქციებით, განიხილება და მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების მიერ და უნივერსიტეტის რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 12. მენეჯერული კონტროლის დანერგვა

1. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის მეორე ეტაპია მენეჯერული კონტროლი, რომელიც მოიცავს პირველ ეტაპზე განსაზღვრული მენეჯერული პასუხისმგებლობების სტრუქტურის გაუმჯობესებას გაზრდილი პასუხისმგებლობის დელეგირების საშუალებით, აგრეთვე, სტრუქტურული ერთეულების ჩართულობის გაზრდას ეფექტური კონტროლის მექანიზმების შემუშავების, რისკის მართვისა და ანგარიშგების პროცესში.

2. მენეჯერული კონტროლი არის პროცესი, რომლის მიზანია თესაუ-ს ყველა იერარქიულ საფეხურზე მენეჯერული სტრუქტურის სრულყოფა, რაც ხელს შეუწყობს პასუხისმგებელი პირების უფლებამოსილებების გამიჯვნას და დაწესებულების მიზნების მიღწევას ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის პრინციპების დაცვით.

5. ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა თესაუ-ს ხელმძღვანელს ყოველწლიურად უნდა წარუდგინოს ანგარიში მენეჯერული კონტროლის სისტემის დანერგვისა და რისკის მართვასთან დაკავშირებული პროცედურების ეფექტურობის შესახებ.

მუხლი 13. ფინანსური მართვის სისტემის დანერგვა

1. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის მესამე ეტაპს წარმოადგენს ფინანსური მართვის სისტემის დანერგვა თესაუ-ში. იგი არის კომპლექსური ეტაპი, რომელიც უზრუნველყოფს წინაპირობების შექმნას რესურსების (value for money) ყველაზე ეფექტიანი გამოყენებისათვის.

2. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის მესამე ეტაპზე მნიშვნელოვნად იცვლება ფინანურ-მატერიალური რესურსების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის როლი. იგი ბიუჯეტის მაკოორდინირებელი და სააღრიცხვო სისტემის წარმმართველი სამსახურის ფუნქციასთან ერთად ითავსებს ფინანსური მრჩევლის როლს. აღნიშნული სამსახურის ხელმძღვანელი ახდენს ხარჯების განმსაზღვრელი ფაქტორების იდენტიფიცირებას, ფინანსურ ანალიზს და უშუალოდაა ჩართული ფინანსური სტრატეგიის შემუშავებაში, რათა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმისა და დანახარჯების სწორი განსაზღვრა. ფინანურ-მატერიალური რესურსების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური აგრეთვე უზრუნველყოფს ფინანსური კონტროლის ყველა ასპექტის სრულყოფილ და გამართულ ფუნქციონირებას უნივერსიტეტის მასშტაბით.

(ცვლილება დამტკიცებულია წარმოადგენლობითი საბჭოს სხდომაზე: ოქმი N21 01/12/2023)

3. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის მესამე ეტაპზე პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის ზრდის პროცესში აღსანიშნავია ანგარიშვალდებულების დელეგირების მაქსიმალური ზრდა და თითოეული მენეჯერის კომპეტენციის ფარგლებში რისკის მართვის უზრუნველყოფა. აღნიშნული ძირითადად გულისხმობს იმ ფაქტორების იდენტიფიცირებასა და მართვას, რომლებიც ხელს უშლის თესაუ-ს დასახული მიზნების მიღწევაში შეზღუდული დროის, სტანდარტებისა და მატერიალური რესურსების პირობებში.

მუხლი 14. შიდა აუდიტი

1. შიდა აუდიტი არის შიდა კონტროლის ერთ-ერთი კომპონენტის – მონიტორინგისა და შეფასების ნაწილი, რომელიც იძლევა დამოუკიდებელ, ობიექტურ და გონივრულ

რწმუნებას ხელმძღვანელობისთვის, თესაუ-ს შიდა კონტროლის სისტემის გამართულად ფუნქციონირების თაობაზე. შიდა აუდიტის პასუხისმგებლობის ხარისხი ფინანსურ მართვასა და კონტროლთან მიმართებით, დამოკიდებულია იმაზე, თუ ჩამოყალიბების რომელ ეტაპზეა აღნიშნული სისტემა. შიდა აუდიტი არ იღებს მონაწილეობას ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებაში. იგი აფასებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის მიმდინარეობას, ამ წესით განსაზღვრული ეტაპების შესაბამისად.

2. შიდა აუდიტი აფასებს შიდა კონტროლის ეფექტიანობას და პროდუქტიულობას უნივერსიტეტის მიზნებთან მიმართებით, სისტემის დანერგვის სხვადასხვა ეტაპზე, შემდეგი მიმართულებებით:

ა) შეესაბამება თუ არა თესაუ-ს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნები თესაუ-ს მისიას;

ბ) სტრატეგიული/საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის საფუძველზე განსაზღვრული მიზნები არის თუ არა კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, შესაფერისი და დროში გაწერილი;

გ) თანხვედრაშია თუ არამენეჯმენტის სტრუქტურა თესაუ-ს მიზნებთან;

დ) აქვთ თუ არა ხელმძღვანელ პირებს დელეგირებული მიზნების მისაღწევად საჭირო უფლებამოსილება;

ე) ხორციელდება თუ არა რისკის მართვა;

ვ) რა კონტროლის ღონისძიებები არსებობს იმ რისკების შესამცირებლად, რომლებიც დაკავშირებულია პროცესების განხორციელებასთან;

ზ) რამდენად სრულყოფილი და სანდოა საკომუნიკაციო არხები და ინფორმაციული ნაკადი თესაუში, რაც მიზნების მისაღწევად არის აუცილებელი;

ი) არსებობს თუ არა ანგარიშგების სისტემა;

კ) ხელმძღვანელი პირები უზრუნველყოფენ თუ არა მიზნების მიღწევას არა მხოლოდ დროის, სტანდარტებისა და ბიუჯეტის შესაბამისად, არამედ ასევე, ეფექტიანად და პროდუქტიულად.

მუხლი 15. ანგარიშგება

1. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფარგლებში ანგარიშგების ჩამოყალიბების მიზანია თესაუ-ს ხელმძღვანელობისათვის სანდო და დროული ინფორმაციის მიწოდება, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ფინანსური შედეგების დროული და ეფექტიანი ანალიზი, ასევე აღნიშნული წესის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა, ხარვეზების დროული იდენტიფიცირება, აღმოფხვრა და არსებული სისტემის მუდმივი სრულყოფა.

2. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის თითოეული ეტაპისთვის, ანგარიშგების ძირითადი შემადგენელი ელემენტები და პასუხისმგებელი პირები, განისაზღვრება შესაბამისი ეტაპის ჩამოყალიბების წესებსა და პროცედურებში.

მუხლი 16. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვისა და განვითარების შესახებ წლიური ანგარიში

1. წლიური ანგარიშის მიზანია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის, განვითარებისა და ფუნქციონირების, ასევე განხორციელებული ქმედებების ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა თესაუ-ს ხელმძღვანელობისათვის, რომელსაც წარმოადგენს ფინანურ-მატერიალური და შესყიდვების სამსახურის უფროსი.

(ცვლილება დამტკიცებულია წარმოადგენლობითი საბჭოს სხდომაზე: ოქმი N21 01/12/2023)

მუხლი 17. გარდამავალი დებულებები

1. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვა მოხდება ეტაპობრივად. დანერგვა განხორციელდება შემდეგი ეტაპების მიხედვით:

ა) შიდა აუდიტის დებულების შემუშავებელი ჯგუფის შექმნა;
ბ) შიდა აუდიტის დებულების დამტკიცება და შესაბამისი წესით პერსონალის შერჩევა.

მუხლი 17. წესის ძალაში შესვლა

წესი ძალაში შედის თესაუ–ს წარმომადგენლობით საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.